მეთხუთმეტე ფურცელი



15.10.01. ხანდახან დიმიტრის მოფიქრებულობა გვაკვირვებს. გუშინ დასახურიანი სათამაშოების ჩასადები გაიკეთა. აიღო სალფეთქების ცარიელი ყუთი, ზმეიკა დაუმაგრა ორმხრივი წებვადი ლენტით და გამოუვიდა საკმაოდ ხარისხიანი საცავი. პატარა სათამაშოებს იქ ინახავს.

ამას წინათ ლეგოს პატარა დეტალები ფანჯარაში გადაუვარდა. იქვე ფანჯრის ქვემოთ პარაპეტზე დაეცა, მაგრამ ფანჯრიდან ხელით ვერ მიწვდები. სანამ ანა და ნატო ირგვლივ დარბოდნენ და ხელებს “იგრძელებდნენ” ამ ჩვენმა “ვუნდერკინდმა” მოიფიქრა რომ ჯოხზე დაემაგრაბინა ორმხრივი წეპვადი ლენტი და ნატოს გადასცა რომ ამ ჯოხით მიწვდომოდა ლეგოს კუბიკენს, მიეწებებინა ჯოხზე და ამოელო. ყველაფერი სწრაფად და წვალების გარეშე დასრულდა.

ერთხელ ვსხედვართ მაგიდასთან და ვმსჯელობთ იმაზე რომ ანა ორ წელიწადში 18 წლის გახდება. მერი დიმას მიუტრიალდა და ეკითხება, მაგ დროს მამიკო რამდენის გახდებაო. დიმა წამით დაფიქრდა და 44-ისო, თქვა. ჩვენ გავიცინეთ, ეს რა კარგად გაარტყაო. მერი არ ეშვება:

“- დედა რამდენის გახდებაო?”.

დიმა, ისევ წამიერი ჩაფიქრების შემდეგ ამბობს “42“-სო. ამან უკვე დაგვაფიქრა. უკვე მე ვეკითხები:

“- მერი რამდენის იქნება?”

“- 16-ის”.

“- შენ???”

“- მე 8 წლის.”

ამდენის “გარტყმა” ნამდვილად არ შეეძლო, ესე იგი მართლაც ითვლის? მერე შევამოწმეთ, თურმე საკმაოდ მალე და სწორად შეუძლია დათვლა. საბავშვო ბაღში ლათინური ასოები ისწავლა, იაპონური “ანბანები” ხირაგანა და კატაკანა კარგათ იცის, თავის ასაკთან შესაბამისად ქანჯებიც ბევრი იცის. მოკლედ უნივერსალი...

29.10.01. ამას წინათ გემოზე ვიცინეთ. კვირას სასეირნიდ მივდიოდით მანქანით. მშვენიერი ამინდი იყო, მზე ზაფხულივით აცხუნებდა. წინ მე და ნატო ვისხედით, უკან ბავშვები. მზემ თვალებში შემომანათა და ნატოს მზის სათვალეები ვთხოვე. ნატომ მალევე გადმომაწოდა და მეც გავიკეთე. რაღაც მეუცნაურა, მომეჩვენა თითქოს ერთი თვალით უკეთესად ვხედავდი. ერთი-ორჯერ ავწიე კიდევაც სათვალეები. აწეულზე განსხვავება ვითომ ქრებოდა. ალბათ ცალი თვალი მზეზე მომეჭრა გავიფიქრე და საბოლოოდ ჩამოვუშვი თვალებზე სათვალეები, მივეჩვევი მეთქი.

მივდივართ. შევჩერდი შუქნიშანზე. გვერდზე გავიხედე. მეზობლად გაჩერებული მანქანიდან მძღოლმა გაკვირვებით შემომხედა. გაიხედა გვერდზე და მერე ისევ მომაჩერდა. დიდი ხანია გადავეჩვიე იაპონიაში ჩვენი დანახვისას გაკვირვებას. თავიდან, 90-იანი წლების დასაწყისში კი ბევს უკვირდა სენდაიში თეთრი ხალხის, განსაკუთრებით ბავშვების დანახვა - ცოტა უცხოელები იყვნენ, მაგრამ ბოლო დროს უცხოელები მომრავლდა და აღარავის უკვირს. “ეს ალბათ რაიმე მიყრუებული სოფლიდან იქნება, ალბათ უკვირს რომ უცხოელი რულთან ზის”, გავიფიქრე. ამიტომ თბილად გადავხედე, გავუღიმე - “გამარჯობა” მეთქი. მძღოლი გაიყურსა, გზისკენ გაბრუნდა და დაძაბულად გაშეშდა. ცოტა მეწყინა, უფრო გამიკვირდა, მერე გავიფიქრე არასტუმართმოყვარე იაპონელებიც არიან მეთქი. ვაგრძელებთ გზას. ნატომ რაღაცა შემეკითხა, მივუბრუნდი პასუხის გასაცემად და... ქალი გადაიკეცა სიცილისაგან. ვერაფერს ამბობს, კვდება სიცილით და ხელს სარკისაკენ იშვერს, ჩაიხედეო. მივიტრიალე სარკე და რას ვხედავ: სათვალის ცალი შუშა ამოვარდნილა და ჩემი სახე საკმაოდ იდიოტურ შთაბეჭდილებას ტოვებს. გახსოვთ ბულგაკოვის

“მასტერ და მარგარიტაში” კატას “ბეგემოტს” ეკეთა ცალშუშა სათვალე... საწყალი ის იაპონელი, ადრე რომ შეგვხვდა, ნეტა რა იფიქრა უცხოელებზე?